ჟურნალის რედაქცია გამოჩენილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ნოდარ ნათაძეს მოგვიანებით ულოცავს დაბადების 80 წლის იუბილეს



ნოდარ ნათაძე დაიბადა ქ. თბილისში ცნობილი მეცნიერის ოჯახში, მაშინ როცა საჭოთა იმპერიის მიერ საქართველოს განადგურებისა და მოდრეკისკენ მიმართულ რეპრესიათა ყველაზე საშინელი პირველი ტალღები - 1920-იანი წლებისა - უკვე გავლილი იყო. 1937-1938 წლების რეპრესიებმა ამ თაობას რვა და ცხრა წლისას მოუსწრო, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ-თექვსმეტი წლისას. მას შემდეგ, 1991 წლამდე საქართველოში ნელი, მაგრამ უწყვეტი რეპრესიის, უღიმღამო დათრგუნულობის, ყოვლისმომცველი ცენზურის და დამსჯელ ორგანოთა განუკითხაობის სულის შემხუთავი ატმოსფერო სუფევდა. რეჟიმის ორივე მთავარი მახასიათელი-ერთი ის, რომ საზოგადოების უფრო განათლებულ, განვითარებულსა და მოაზროვნე ნაწილს არავითარი საშუალება არ გააჩნდა თავისი ცოდნისა და გამოცდილების გადასაცემად ნაკლებ განათლებული ნაწილისათვის, და მეორე, რომ ადამიანის დაწინაურება და ვარდნა თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო მის მზაობაზე, რომ საქართველოს ინტერესები უმოწყალოდ გაეწირა-მთელი ძალით "მუშაობდა", რათა თაობები დაებრმავებინა, დაეკნინებინა და მათთვის აზროვნების ხალისი დაეკარგვინებინა, მაგრამ ამ ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ ვერ გაიმარჯვა: თაობა, მათი დიდი ნაწილის სახით, მაინც გაიზარდა ისე, როგორც უნდა გაზრდილიყო და შეინარჩუნა დირსებაც, აზროვნებაც, თავმოყვარეობაც და ერთგულებაც, რომელთა შენარჩუნებაც მართებდა. ეს განაპირობა ორმა მიზეზმა. პირველი: იმან, რომ ქართველ ერში არსებული დიდი ზნეობრივი და პროფესიული ცოდნა, რომელსაც თაობათა აღზრდა საჭიროებდა, მაინც გამოდიოდა უფრო ინფორმირებული ოჯახებიდან "ქუჩის" ღია სივრცეში, თუნდ ამ ოჯახების შვილთა საშუალებით მაინც. მეორე: იმან, რომ "ქუჩის სტიქიური ულმობელი კანონები, გონივრულობის ხარისხითაც და სამართლიანობის ხარისხითაც, სჯობდა "სამეულთა" და "კომკავშირულ უჯრედთა" დაუწერელსა და დაწერილ კანონებს, ისევე როგორც ხალხის წიაღში არსებული ცოდნა და ნიჭი შეუდარებლად აღემატებოდა მმართველი "ნომენკლატორისას", ეს პირობები ახალ თაობებს სულიერად და გონებრივად კვებავდა და აწრთობდა კიდეც. მოზარდები გამართულ ადამინებად ვითარდებოდნენ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ საკუთარი თავის სრული რეალიზება არსებულ პირობებში შეუძლებელი იყო.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ნოდარ ნათაძე

ნოდარ ნათაძეს შინიდან "ქუჩაში" გამოსატანიც ჰქონდა (მამა, რევაზ ნათაძე, ფართოდ ცნობილი ფსიქოლოგი და უნივერსიტეტის პროფესორო ჰყავდა. პაპა, გრიგოლ ნათაძე, ასევე ცნობილი პროფესორი ისტორიის დარგში დამფუძნებელი კრების წევრი და 1918 წლის 26 მაისის აქტზე ხელის მომწერი) და "ქუჩაში" შესაძენიც. თავისი პირდი გზა მას, ბუნებრივია შედარებით შემოფარგლულ სივრცეში უნდა ეძებნა, რადგან ახალგაზრდის წინსვლის მრავალი ასპარეზი - პოლიტიკისა, ყოველგვარი ძალოვანი დასაქმებისა, დიპლომატიისა და ბევრი სხვისი - საქართველოს ერთგული ვაჟისა და ქალისათვის იმთავითვე გადაკეტილი იყო: მათთვის მტრის სამსახურში დგომას ნიშნავდა. ღია იყო მხოლოდ მეცნიერების, ტექნიკის, მედიცინის და სხვა "პოლოტიკურად ნეიტრალური" დარგების გზა. ნოდარ ნათაძემ უნივერსიტეტი დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქართველური ენათმეცნიერების განხრით. შვიდი წელი იმუშავა საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. თანდათან გადაიხარა ფილოლოგიისკენ და 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ამ დარგში თემაზე "რენესანსის პრობლემა ქართულ მწერლობაში". გამოაქვეყნა წიგნები "რუსთაველური მიჯნურობა და რენესანსი" და "დროთა მიჯნაზე", აგრეთვე ს. ცაიშვილთან ერთად, რუსთველის იუბილესთან დაკავშირებით (1966წ) ზოგადსაგანმანათლებლო ჟანრის წიგნი "რუსთაველი და მისი პოემა" ექვს ენაზე, მისმა ინტერესებმა თანდათან გადაინაცვლა ფილოსოფიისკენ. 1969 წლიდან 2007 წლამდე იმუშავა ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც შექმნა ახალი განყოფილება ფილოსოფიური კლასიკის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემებისათვის. ამ წლებში გამოსცა რამდენიმე საკუთარი წიგნი და რამდენიმე თარგმანი გერმანული ფილოსოფიური კლასიკიდან. ფილოლოგიის მიმართულებით განახორციელა ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემა (1974) თავისივე დადგენილი კრიტიკული ტექსტით,

ამომწურავი განმატებებითა და კომენტარით. ამჟამად სამსახურებრივად დაუსაქმებელია (როგორც თვითონ წერს დოკუმენტებში, "დროებით უმუშევარია") მას შემდეგ, რაც ფილოსოფიის ინსტიტუტში მისი განყოფილება დახურეს, ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო ფრონტს.

1957 წლიდან დღემდე ნოდარ ნათაძე ხან წევრად, ხან თავმჯდომარედ და ხან თავმჯდომარის მოადგილედ არის "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საშეფო კომისიაში", რომელიც ყველა შესაძლებელი საშუალებით იბრძვის აღმოსავლეთ კახეთში (ე.წ. საინგილოში) ქართული სკოლის გადარჩენისათვის გააფთრებული შემოტევის პირობებში (ამჟამად ეს კომისია თითქმის ვეღარ მუშაობს). 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გაშლილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეა. საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეა და მისი დაარსებიდან (1987). საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო 1989 წლის აგვისტოდან 1995 წლის შემოდგომამდე.

ნოდარ ნათაძის მეცნიერული ინტერესის საგანი არის ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ანუ ის დარგი, რომელსაც პოლიტიკასთან და პოლოტოლოგიასთან პირდაპირი კავშირი აქვს. ფილოსოფიის ინსტიტუტში თავისი მუშაობის წლებს იგი თავისთვის, შემეცნების თვალსაზრისით, ყველაზე მეტის მოსაცემად ტვლის. კონკრეტული შრომების გარდა, მან გამოსცა ორი წიგნი, რომლებშიც მკითხველს საკუთარი თვალსაზრისი შესთავაზა თავისუფლების დასაბუთების საკითხზე ("მიზეზობრიობა და თავისუფლება") და ერის, როგორც ადამიამთა ერთობის ფორმის დღეს განსაკუთრებით აქტულურ საკითხზე ("ერი და ეროვნული კულტურა"). გარდა ამისა, მან გამოაქვეყნა საკუთარი თვალსაზრისი ეთიკის ცენტრალურ პრობლემატიკაზე "პოპულარული" ფორმით. ანუ ცენზურის ფაქტორის გათვალისწინებით მკითხველს თითქოსდა მიღებულ თავისთავად ცხად აზრად შესთავაზა ეთიკის ის დასაბუთება, რომელსაც საკუთარი აზრის სტატუსით ვერ გამოაქვეყნებდა დიალექტიკური მატერიალიზმის დიქტატურის პირობებში ("შენ და სხვანი" და "ადამიანი ადამიანთა შორის"). ასევე მოიქცა ლიტერატურული ენის განვითარების თეორიის სფეროში ("სიტყვა და სახე"). დღეს იგი მეცნიერულ შრომას ეწევა ერისა და ენის თეორიის, ქართული მორფოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლოტოლოგიის სფეროში. იბეჭდება ძირითადად ჟურნალში "ქართველოლოგია". მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო და სამეცნიერო-პოლიტიკური შინაარსის კონფერენციებში საქართველოში და სახღვარგარეთ. წაკითხული აქვს ლექციების სერია გერმანიის უნივერსიტეტში. სათაურით "რაც ვიცი", გამოქვეყნებული აქვს ანალიტიკური მონათხრობი საქართველოს უახლესი იტორიის შესახებ "სამოქალაქო ომის" ტრაგიკული წლების ჩათვლით. აქტიურად თანამშრომლობს ქართულ გაზეთში, სცემს საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთს "საქართველო".

იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. ვუსურვებთ ბატონ ნოდარს ჩვეული ენთუზეაზმით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების" სარედაქციო კოლეგია

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com